ოქმი:**ო63. 6323117001**
თარიღი:**27/04/2023**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს

განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა

კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N3

ქ.სამტრედია 24 აპრილი, 2023 წელი.

მიმდინარე წლის 24 აპრილს ჩატარდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს განათლების, კულტურის სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისია, რომელსაც თავმჯდომარეობდა განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ირაკლი მელაშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ: ირაკლი მელაშვილი, გოჩა არველაძე, აკაკი მინაშვილი, ბადრი შენგელია, გიორგი ლეჟავა, გრიგოლ ჩიგოგიძე, ლელა ჩორგოლაშვილი, მარიამ ბარბაქაძე, ნუგზარ ჯამბურია, ტარიელ დვალიშვილი, ჯონი თევზაძე.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის, ნაბაკევის ადმინისტრაციული ერთეულის, სოფელ ჩხენიშში მდებარე შენობა-ნაგებობისთვის, რევაზ სალაყაიას სახელის მინიჭების შესახებ.

   /მომხსენებელი: ირაკლი მელაშვილი/

2. სხვადასხვა

კომისიის თავმჯდომარის წინადადებით, კომისიის წევრებმა (11) ხმით კენჭი უყარეს დღის წესრიგს.

კენჭისყრის შედეგად, კომისიის წევრთა (11) ხმით, დღის წესრიგი იქნა დამტკიცებული წარმოდგენილი სახით.

<u>დღის წესრიგის II საკითხთან დაკავშირებით</u> მომხსენებელმა, ირაკლი მელაშვილმა, კომისიის წევრებს გააცნო საკითხი, რომელიც ეხება სამტრედიის მუნიციპალიტეტის ნაბაკევის ადმინისტრაციული ერთეულის, სოფელ ჩხენიშში მდებარე შენობა-ნაგებობისთვის, სადაც განთავსებულია სამედიცინო ამბულატორია, რევაზ სალაყაიას სახელის მინიჭებას.

ირაკლი მელაშვილი - მოგახსენებთ, რომ 2023 წლის 7 მარტს სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის სხდომაზე განხილულ იქნა სოფელ ჩხენიშში მცხოვრებთა ერთობლივი განცხადება, რომელიც ეხებოდა რევაზ სალაყაიას სახელის მინიჭებას, სამტრედიის მუნიციპალიტეტის ნაბაკევის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ჩხენიშში მდებარე შენობა ნაგებობისთვის (მიწის(უძრავი ოქნები) საკადასტრო კოდი N34.03.52.334) , სადაც განთავსებულია სამედიცინო ამბულატორია.

კომისიამ შეისწავლა ზემოაღნიშნული საკითხი და ერთხმად დაუჭირა მხარი, სოფელ ჩხენიშში მდებარე შენობა-ნაგებობისათვის, რომელშიც განთავსებულია სამედიცინო ამბულატორია, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის რევაზ სალაყაიას, სახელის მინიჭებას.

საკითხს მიეცა მსვლელობა და დარეგისტრიდა საჯარო რეესტრში.

როგორც მოგეხსენებათ, რევაზ სალაყაიას გარდაცვალებიდან არ არის გასული 20 წელი, ამიტომ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის ,,მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ" № 239 დადგენილების მე-5 მუხლის „1“ - პუნქტის თანახმად, ამ წესიდან გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის საკრებულო.

შესაბამისად, საკითხი განიხილება საკრებულოს უახლოეს სხდომაზე, რათა მიღებულ იქნას გადაწყვეტილება, სამტრედიის მუნიციპალიტეტის ნაბაკევის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ჩხენიშში, მდებარე შენობა-ნაგებობისთვის, რომელშიც განთავსებულია სამედიცინო ამბულატორია (მიწის(უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N34.03.52.234, რევაზ სალაყაიას სახელის მინიჭებისათვის, თანხმობის მიცემის შესახებ.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და აზრი გამოთქვეს.

დაადგინეს: კომისიის წევრები კენჭისყრის შედეგად, (11) ხმით ეთანხმება ზემოაღნიშნულს.

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოწურულია.

სხდომის მდივანი: /ნათია დოლიძე/

ირაკლი მელაშვილი

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
განათლების, კულტურის, სპორტისა და
ახალგაზრდულ საკითხთა კომისია-განათლების,
კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი